სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების ხელშეკრულება NPRC---

ქ. თბილისი **---------- 2018 წ.**

შპს „----------“ (შემდგომში ”შემსრულებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით (ელექტრონული ფოსტის მისამართი: ----------), ერთის მხრივ და **სს „თიბისი ბანკი“** (შემდგომში “ დამკვეთი”), წარმოდგენილი მისი ---------- სახით მეორეს მხრივ, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეებისათვის საზოგადოების წესდებებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ვდებთ და ვთანხმდებით წინამდებარე ხელშეკრულებით შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსრულებელი” კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს ხელშეკრულების 1.2. მუხლით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო “დამკვეთი” ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური 4.3. მუხლის შესაბამისად;

1.2 ხელშეკრულების მიზანია:
სს „თიბისი ბანკი“-ს ---------- (მის.: ----------) სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება დანართი N1–ის მიხედვით; შესასრულებელი სამუშაოების დეტალური სპეციფიკაცია მოცემულია N1 დანართში, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოთა/ვალდებულებათა ჯეროვანი და სრული შესრულება დასტურდება მხოლოდ მხარეთა შორის ხელმოწერილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ით.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1 **“შემსრულებელი” ვალდებულია:**

2.1.1 სამუშაო შეასრულოს ხარისხიანად, წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვით. ყველა მასალა თუ აქსესუარი უნდა იყოს ბანკის მიერ მითითებული სპეციფიკაციის შესაბამისი;

2.1.2 უხარისხოდ და ხელშეკრულების პირობების დაუცველად შესრულებული სამუშაოს შემთხვევაში, აღმოფხვრას შესაბამისი ნაკლი და შეასრულოს დამატებითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

2.1.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დაიწყოს 2018 წლის ----------, ამასთან, შემსრულებელი ადასტურებს, რომ იცნობს იმ ტერიტორიის გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს, სადაც მდებარეობს ობიექტი, და აცხადებს, რომ არ არსებობს მისთვის ცნობილი რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც შეუძლებელს გახდის ამ პუნქტში მითითებულ ვადაში სამუშაოების სრულყოფილად შესრუ¬ლებას.

2.1.4 სამუშაოები ჩაატაროს ---------- საათამდე, (დამატებითი დრო კურატორ ინჟინერთან შეთანხმებით);

2.1.5 სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში უზრუნველყოს სამუშაო ფართის იზოლირება სხვა ფართისგან და მისი შეფუთვა (ფირმის სარეკლამო აბრით ან სხვა მასალით);

2.1.6. შემსრულებელი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ობიექტის დანიშნულება, რომ ობიექტი განკუთვნილია კომერციული ბანკის ფილიალისთვის/სერვის-ცენტრის ფუნქციონირებისათვის შესაბამისად, შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას, რომ სამუშაოს განხორციელებისას და დასრულების შემდეგ ობიექტი იფუნქციონირებს შეუფერხებლად, სამუშაოს ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა სარემონტო–სარეკონსტრუქციო სამუშაოები შესრულებული იქნება და შესაბამისი აგრეგატები/მექანიზმები დამონტაჟებული იქნება ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სხვა მოწყობილობა-დანადგარების, აგრეთვე გაყვანილობების (ელექტროგაყვანილობა, ინტერნეტი, ტელევიზია, წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ბუნებრივი აირი, უსაფრთხოებისა და ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების და ა.შ.), რომლებიც მდებარეობს ობიექტში, შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

2.1.7. შემსრულებელი ვალდებულია, სამუშაოები აწარმოოს საქართველოში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტის, მათ შორის უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთანავე, სამუშაოს შესრულებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის სპეციფიკა, რომ ობიექტის დანიშნულებაა კომერციული ბანკის ფილიალის/სერვის ცენტრის ფუნქციონირება.

2.1.8. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, სხვა პირობებთან ერთად, შემსრულებელი:

2.1.8.1. კისრულობს პასუხისმგებლობას სამუშაოს განხორციელების ხარისხიან და უსაფრთხო მეთოდებზე; შემსრულებელი პასუხისმგებელია სამშენებლო/სარემონტო ტერიტორიაზე ნებისმიერი პირის, მათ შორის მესამე პირთა დაზიანებაზე და/ან დაღუპვაზე, რაც გამოწვეული იქნება უსაფრთხოების ნორმებისაგან გადახვევით;

2.1.8.2. პასუხისმგებელია დამკვეთის წინაშე ქვე-შემსრულებელიების (ქვეკონტრაქტორი) მიერ სამუშაოების შესაბამისი ნაწილის სათანადო შესრულებაზე;

2.1.8.3. უზრუნველყოფს სამშენებლო/სარემონტო ტერიტორიაზე საჭირო მასალების, მოწყობილობების, ნაკეთობების, კონსტრუქციების, სამშენებლო ტექნიკის მიტანას, ჩამოტვირთვას და დასაწყობებას;

2.1.8.4. საჭიროების შემთხვევაში საკუთარი და მოზიდული ძალებითა და საშუალებებით სამშენებლო/სარემონტო ტერიტორიაზე განათავსებს დროებით ნაგებობებს, რომლებიც საჭიროა მასალების შესანახად და სამუშაოების შესასრულებლად;

2.1.8.5. სამუშაოების წარმოებისას ახორციელებს სამშენებლო/სარემონტო ტერიტორიის დალაგებასა და მოვლას, სამუშაოების წარმოებისას და დასრულებისთანავე უზრუნველყოფს სამშენებლო ნარჩენების ობიექტიდან და მიმდებარე ტერიტორიიდან დროულად გატანას ადგილობრივი თვითმმართველობის და/ან მმართველობის ორგანოების მიერ გამოყოფილ/ნებადართულ ადგილას;

2.1.8.6. ვალდებულია სამშენებლო/სარემონტო მოედნის უსაფრთხოების მიზნით შემოსაზღვროს იგი. ვალდებულია არ დაუშვას ზემოხსენებული საზღვრის მიღმა ტერიტორიის დანაგვიანება/დაბინძურება ან სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დასაწყობება;

2.1.8.7. ვალდებულია უზრუნველყოს გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენება ფეთქებად საშიში და ადვილად აალებადი მოწყობილობებისა და მასალების განლაგების ადგილებში და უზრუნველყოს ასეთი მასალებისა და მოწყობილობების შესაბამისი წესით შენახვა;.

2.1.8.8. ვალდებულია, სამშენებლო/სარემონტო მოედანზე იქონიოს ხანძართან ბრძოლისათვის საჭირო პირველადი აღჭურვილობა. შედუღების სამუშაოების წარმოების ადგილას იქონიოს შესაბამისი ცეცხლმაქრი;

2.1.8.9. ვალდებულია არ გამოიყენოს სამშენებლო მასალები, რომლებიც შეიცავს აზბესტს ან სიცოცხლი-სათვის/ჯანმრთელობისათვის სხვა მავნე ნივთიერებებს, სუნს, გამონაბოლქვს და ა.შ.

2.1.8.10. სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში, სანამ ობიექტს (გასარემონტებელ ნაწილს) მიღება-ჩაბარების აქტით დაუბრუნებს დამკვეთს, პასუხისმგებელია ნებისმიერი ზიანის ან/და ზარალის დადგომაზე (გამოწვეული მისი საქმიანობით) როგორც დამკვეთის წინაშე ასევე მესამე პირების მიმართ;

2.1.8.11. ვალდებულია, დაიცვას ობიექტზე არსებული უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის ობიექტზე შესვლისა და გასვლის, აგრეთვე ობიექტის შიგნით გადაადგილების წესები. დამკვეთის ნებისმიერი თანამშრომელი/ქვე–კონტრაქტორი ვალდებულია, დაემორჩილოს დამკვეთის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების მითითებებს.

2.1.9. შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას, გამოიყენოს და შესაბამისად დამკვეთს საკუთრებაში გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მასალა/აგრეგატი/მექანიზმი. ამ მუხლის მიზნებისათვის ნივთობრივად უნაკლო მასალის/აგრეგატის/მექანიზმის ქვეშ მხარეები გულისხმობენ ნივთს, რომელიც უხმარია, არ აქვს რაიმე ხარვეზი, ვარგისია ჩვეულებრივი გამოყენებისათვის და დამონტაჟებულია მწარმოებლის მოთხოვნების შესაბამისად. ხოლო უფლებრივად უნაკლო მასალის/აგრეგატის/მექანიზმის ქვეშ მხარეები გულისხმობენ ნივთს, რომელიც არ არის დაყადაღებული, დაგირავებული და/ან რაიმე სხვა ვალდებულებით დატვირთული და/ან რომლის მიმართაც მესამე პირს არ შეუძლია საფუძვლიანი პრეტენზია/მოთხოვნა წამოაყენოს.

2.1.10. შემსრულებელი გარანტიას იძლევა, რომ მის მიერ სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული მასალების, აგრეგატების და მექანიზმების ხარისხი შესაბამისობაში იქნება დამკვეთის მოთხოვნებთან, სახელმწიფო სტანდარტებთან და ტექნიკურ პირობებთან.

2.1.11. შემსრულებელი ვალდებულია, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, დროულად გააფრთხილოს დამკვეთი, რომ:

2.1.11.1. თუ სამუშაოსთან დაკავშირებით დამკვეთის მითითება შესრულდება, სამუშაო არამტკიცე ან უხარისხო იქნება;

2.1.11.2. არსებობს შემსრულებლისგან დამოუკიდებელი რაიმე გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის სამუ-შაოს სიმტკიცეს ან ხარისხს.

2.1.12 ყოველ კვირაში ერთხელ (კონკრეტულ დღეს განსაზღვრას დამკვეთი) წარუდგინოს დამკვეთს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ ყოველკვირეული ანგარიში დანართ N--- ში მოცემული ფორმით. აღნიშნული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში იმოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების 6.2. პუნქტით გათვალისწინებული სანქციები.

2.1.13 სამუშაოების შესრულების პროცესში განხორციელებულ ფარულ სამუშაოებზე (იგულისხმება სამუშაოები რომლის ვიზუალური შემოწმება ვერ ხდება) ყოველ ჯერზე შეადგინოს შესაბამისი აქტი, ფოტო მასალით და ჩარატებული სამუშაოების შესაბამისი აღწერილობით (,,ფარული სამუშაოების აქტი'') და სამუშაოების ანაზღაურების ყოველ ეტაპზე წარუდგინოს ბანკს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა სხვა საჭირო დოკუმენტთან ერთად.

2.2 **"დამკვეთი" ვალდებულია:**

2.2.1 აუნაზღაუროს "შემსრულებელს" შესრულებული სამუშაოების ღირებულება ამ ხელშეკრულების მიხედვით;

2.3 **"დამკვეთი" უფლებამოსილია:**

2.3.1 ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს შეამოწმოს სამუშაოს მიმდინარეობა და იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები პირობების დარღვევით იქნება შესრულებული, მოსთხოვოს შემსრულებელს ნაკლის გამოსწორება დამატებითი სამუშაოების შესრულების სახით ან ზიანის ანაზღაურება.

2.3.2. "დამკვეთი" ამოწმებს ,,შემსრულებელის" მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისობას ხელშეკრულების პირობებთან. "დამკვეთი" უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურეობა თუ სამუშაოები არასრულად და არაჯეროვნად იქნება შესრულებული და არ შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია არ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ს, რაც არ ჩაითვლება მომსახურების მიწოდებად/გაწევად და ბანკს არ წარმოეშვება მომსახურების ანაზღაურების ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია, გამოასწოროს ხარვეზი, არაჯეროვნად შესრულებული სამუშაო. ამასთან, თუ ხარვეზი უმნიშვნელო ხასიათისა, დასაშვებია, რომ ხარვეზის გამოსწორების ნაცვლად, მოხდეს საზღაურის შემცირება შესაბამისი ოდენობით. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აღნიშვნა უნდა გაკეთდეს მიღება-ჩაბარების აქტში და მიეთითოს სამუშაოს რა ნაწილი მიიჩნევა დამკვეთის მიერ მისაღებად და რა - მიუღებლად. მხარეები აქვე აცხადებენ, რომ თუ ხარვეზი უმნიშვნელო ხასიათისაა და მისი აღმოფხვრა შესაძლებელია 5.1. პუნქტში მითითებული ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში და დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად შემსრულებლის მიერ აღნიშნული უმნიშველო ხარვეზი სრულად იქნება აღმოფხვრილი მოცემულ 5 (ხუთი) დღიან ვადაში, ასეთ შემთხვევაში შემსრულებლის მიმართ არ გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება უმნიშვნელო ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, რომლის შესახებაც მიღება-ჩაბარების აქტშიც აღინიშნება.

2.3.3. თუ სამუშაოების ანაზღაურების ყოველ ეტაპზე შემსრულებლის მიერ 2.1.13 პუქნტის შესაბამისად არ იქნა წარმოდგენილი ,,ფარული სამუშაოების აქტი'', ბანკი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს იმ ფარული სამუშაოების ღირებულება, რომელზეც არ იქნება წარმოდგენილი ,,ფარული სამუშაოების აქტი''. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აღნიშვნა უნდა გაკეთდეს მიღება-ჩაბარების აქტში.

3. ცვლილება სამუშაოებში

3.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეების მიერ შეთანხმების საფუძველზე, შესაბამისი აქტის გაფორმებით ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

4. სამუშაოს ღირებულება და ანაზღაურების წესი

4.1 "შემსრულებლის" მიერ შესრულებული სამუშაოსათვის "დამკვეთი" ვალდებულია გადაიხადოს თანხა ---------- (----------) ლარი დღგ-ს ჩათვლით; შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ღირებულება მოცემულია N1 დანართში, რომელიც ხელმოწერილია მხარეთ მიერ და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.2 სახელშეკრულებო თანხა, შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად, შეიძლება გაიზარდოს არაუმეტეს მისი + 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით და შემცირდეს ნებისმიერი ოდენობით, ამ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გარეშე. ამ პუნქტის შესაბამისად, ფასის ცვლილებასთან დაკავშირებით გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს მოაწერენ შესაბამისი უფლებამოსილი პირები;

4.3 შესრულებული სამუშაოს ღირებულებას დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, მხარეთა შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, რომელსაც ასევე თანდართული ექნება შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ამ ხელშეკრულებაში მითითებული "შემსრულებლის" საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

5.სამუშაოს შესრულების ვადა

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულდეს 2 ეტაპად:

პირველი ეტაპი (ძირითადი სამუშაოები): პირველ ეტაპზე უნდა შესრულდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების 90% (აღნიშნული მოიცავს HVAC-ის სისტემის სამუშოაების 100%-ს, სანტექნიკის სამუშაოების 100%-ს, ქსელების და ელექტროობის სამუშაოების 90%-ს და სარემონტო სამუშაოების 90%-ს) არაუგვიანეს 2018 წლის ---------- ან უფრო ადრე. შესასრულებელი სამუშაოების კონკრეტული/დეტალური გეგმა-გრაფიკი თან დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას, ხელმოწერილია მხარეთა მიერ და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მეორე ეტაპი (დარჩენილი სამუშაოები): მეორე ეტაპზე უნდა შესრულდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დარჩენილი 10% (აღნიშნული მოიცავს სარემონტო სამუშაოების დარჩენილ 10%-ს, როგორიცაა: უსაფრთხოების, IT-ის, ავეჯის მონტაჟის შედეგად დაზიანებული კედლების სამღებრო სამუშაოებს, დასუფთავებას და დარაჯს; ასევე მოიცავს ქსელების და ელექტროობის სამუშაოების დარჩენილ 10%-ს, როგორიცაა: ავეჯზე მისამაგრებელი ქსელი და ელ. როზეტები). მეორე ეტაპის სამუშაოები უნდა დასრულდეს ბანკის მიერ შემსრულებლისათვის შესაბამისი შეტყობინების (მათ შორის ელექტორნული ფორმით) გაგზავნიდან არაუგვიანეს ---------- კალენდარული დღის ვადაში ან ამავე შეტყობინებაში აღნიშნულ ვადაში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

6.2 ამ ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულების/სამუშაოების შესრულების დარღვევის (ვადის გადაცილება ან/და არაჯეროვანი/უხარისხო შესრულება), ასევე ხელშეკრულებაზე თანდართული შესასრულებელი სამუშაოების კონკრეტულ/დეტალურ გეგმა-გრაფიკში განსაზღვრული თითოეული ვადის პირველივე დარღვევის (გადაცილების) შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაუხადოს დამკვეთს ერთჯერადი პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით და 0.5%-ის ოდენობით ყოველ შემდგომ ვადაგადაცილებულ დღეზე;

6.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პირობის დარღვევის (გადაცილების) შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებული იქნება გადაუხადოს შემსრულებელს ერთჯერადი პირგასამტეხლო დაგვიანებით ჩარიცხული თანხის 3%-ის ოდენობით და 0.5%-ის ოდენობით თითოეული შემდგომი დაგვიანებული დღისთვის;

6.4 საჯარიმო სანქციებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

6.5 პირგასამტეხლოს დაკისრება მხარეთა უფლებაა და არც ერთ მხარეს არ აქვს ცალსახა ვალდებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლოს გადახდა. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გადახდას დაექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც ექნება პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის უფლება ვალდებულ მხარეს მოსთხოვს პირგასამტეხლოს გადახდას;

6.6 იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოების შესრულების პროცესში შემსრულებლის თანამშრომლებს/ქვე-კონტრაქტორებს შესაძლებლობა ექნებათ იყვნენ და გადაადგილდნენ ობიექტში, რომ მათ ექნებათ წვდომა დამკვეთის საკუთრებაში და/ან მფლობელობაში არსებულ ნივთებზე, მხარეები თანხმდებიან, რომ შემსრულებელი არის მატერიალურად პასუხისმგებელი სამუშაოს შესრულების პროცესში შემსრულებლის თანამშრომლების/ქვეკონტრაქტოირს ქმედებების შედეგად წარმოშობილ ნებისმიერ ზიანზე. ხელშეკრულების მიზნებისათვის ტერმინი ქვეკონტრაქტორი მოიცავს იმ პირებსაც, რომლებიც შემსრულებელს აწვდიან სხვადასხვა მასალას, აგრეგატებს, მექანიზმებს და ა.შ.

6.7. სამუშაოების შესრულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შემსრულებლის მიერ სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების/წარმართვის გამო, თუ ბანკის მიერ დამატებით განსაზღვრულ ვადაშიც სრულად/ჯეროვნად არ იქნება შესრულებული შესაბამისი ვალდებულებები/სამუშაო, დამკვეთი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. ასეთ შემთვევაში ბანკს არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ბანკი დამატებით უფლებამოსილია, მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება სრული ოდენობით.

7. საგარანტიო მომსახურება

7.1 შემსრულებელი იძლევა ხელშეკრულების საგანზე (სარემონტო/სარეკონსტრუქციო ობიექტზე) მდგრადობის, ვარგისიანობის და შეთანხმებული ხარისხის გარანტიას.

7.2 ხელშეკრულების საგანზე საგარანტიო ვადა შეადგენს ---------- (---------) წელს, რომელიც აითვლება სამუშაოების დასრულების შემდეგ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან.

7.3 საგარანტიო პერიოდში ხელშეკრულების საგნის (სარემონტო/სარეკონსტრუქციო ობიექტის ან მისი ნაწილის) ნივთობრივი/უფლებრივი ნაკლოვანების გამოვლენის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით სრულად გამოასწოროს/აღმოფხვრას ნაკლოვანება. თუ ნაკლი და/ან ხარვეზი ეხება სამუშაოების განხორციელებისას გამოყენებულ მასალებს და/ან აგრეგატებს/მექანიზმებს, შემსრულებელი ვალდებულია შეცვალოს ნაკლის მქონე/უვარგისი მასალა/აგრეგატი/მექანიზმი იგივე ან იგივე/უკეთესი ხარისხის უხმარი მასალით/აგრეგატით/მექანიზმით. ამასთან შემსრულებელი/შემსრულებელი სრულად არის პასუხისმგებელი სარემონტო/სარეკონსტრუქციო ობიექტის ან/და მისი ნაწილის ჩამოქცევით (ჩამოშლით, ჩამონგრევით) გამოწვეულ ზარალზე და ზიანზე როგორც დამკვეთის ასევე სხვა მესამე პირთა მიმართ.

7.4 საგარანტიო პერიოდში ხელშეკრულების საგანზე (სარემონტო/სარეკონსტრუქციო ობიექტზე ან მის ნაწილზე) ნივთობრივი/უფლებრივი ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში, უდავოდ ჩაითვლება, რომ ნაკლი გამოწვეულია შემსრულებლის ქმედებით (ან უმოქმედობით). საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება შემსრულებელს.

7.5 შესრულებული სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები ან/და სარემონტო/სარეკონსტრუქციო ობიექტი (ხელშეკრულების საგანი), გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 641-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნივთობრივად ნაკლოვანია (არაჯეროვნად შესრულებულია, წუნდებულია) ასევე, თუ:

- შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციის და ხელშეკრულებაზე თანდართული დანართების პირობებს;
- შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება სარემონტო ნორმატივებს;
- შემსრულებელიმ/შემსრულებელმა ან მისმა წარმომადგენელმა მოახდინა სარემონტო/სარეკონსტრუქციო ობიექტის ან/და მისი ნაწილის არასწორი მონტაჟი/ინსტალაცია/აზომვა და სხვა.

7.6 საგარანტიო პერიოდში ხელშეკრულების საგნის (სარემონტო/სარეკონსტრუქციო ობიექტის ან მისი ნაწილის) ნაკლოვანების გამოვლენის შემთხვევაში, დამკვეთი წერილობითი ფორმით (მათ შორის ელექტრონული ფორმით - ხელშეკრულებაში მითითებული მხარეების ელექტრონული ფოსტის მისამართების მეშვეობით) აცნობებს საგარანტიო მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ შემსრულებელს. შესაბამისი წერილის მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარულ დღეში შემსრულებელი ,,ახდენს რეაგირებას" ანუ ვალდებულია გამოცხადდეს სარემონტო/სარეკონსტურქციო ობიექტზე(მიავლინოს წარმომადგენელი ობიექტზე), შეისწავლოს გამოვლენილი ნაკლოვანება, რომლის დროსაც ადგენს ,,დეფექტურ აქტს'', რომელიც უნდა შეიცავდეს შესასრულებელი სამუშაოების და მათი გონივრული დასრულების ვადებს, თუმცა მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერ შემთვევაში გამოვნელინი ნაკლი სრულად უნდა აღმოიფხვრას და/ან გამოიცვალოს შესაბამისი მასალა/აგრე-გატი/მექანიზმი, შემსრულებლის მიერ ბანკისაგან საგარანტიო მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ შესაბამისი წერილის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

7.7 თუ შემსრულებელი 7.6. პუნქტში დადგენილ ვადაში სრულად არ გამოასწორებს უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებს/არ აღმოფხვრის გამოვლენილ ნაკლოვანებას, დამკვეთი თვითონ ან/და სხვა მესამე პირის მეშვეობით გამოასწორებს უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოს/აღმოფხვრის ნაკლოვანებას. ასეთ შემთხვევაში შემსრულებელს ეკისრება გაწეული/დადასტურებული ხარჯების სრულად ანაზრაურება.

8. მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

8.1. "მხარეები" აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

8.2. რომ თითოეული მათგანი ასევე, მათი შვილობილი, მშობელი კომპანიები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, მექრთამეობისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითებს უწევენ მუდმივ კონტროლს;

8.3. „მხარეები", ასევე მათთან დაკავშირებული პირები: მათი შვილობილი, მშობელი კომპანიების უმაღლესი მენეჯმენტის წევრები, უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლები, თანამშრომლები, სხვა პერსონალი არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს საჩუქრის, მასპინძლობის, ჯილდოების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას, მიღებას, მიწოდებას, გაცემას ან მოთხოვნას (პირდაპირ ან ირიბად, რათა შეიქმნას ნებისმიერი ტიპის კომერციული, კონტრაქტული, რეგულატორული ან პირადი უპირატესობა და/ან წახალისდეს ან დაჯილდოვდეს ქმედება რომელიც არის უკანონო და არაეთიკური;

8.4. არცერთ მხარეს ან მათთან დაკავშირებულ პირს:

8.4.1.ხელშეკრულების გაფორმებისას, პირდაპირ ან ირიბად არ გადაუხდია, არ მიუღია, არ ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, ან/და ანაზღაურება;

8.4.2.„შეთანხმების"/"ხელშეკრულების" დასადებად არ განუხორციელებია ისეთი ქმედება, რომლის მიზანია, მათ შორის, ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა ან/და ერთ-ერთი მხარის უმაღლესი მენეჯმენტის წევრის უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი დაკავშირებული საწარმოს ქმედებებზე ზეგავლენა ან/და რომელიმე ზემოაღნიშნული პირის მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ ან/და ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან/და სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში;

8.5 არცერთი მხარე არ წარმოადგენს საჯარო პირს და არ მოქმედებს საჯარო პირის სახელით. ამასთან, ორივე მხარე იღებს ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს წინამდებარე პირობის ცვლილების შემთხვევაში;

8.6 რომ თითოეული მათგანი ასევე, მათთან დაკავშირებული პირები არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ ან/და ბრალდებული კორუფციის/მექრთამეობის კუთხით;

8.7 ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ამ, ისე მხარეებს შორის აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტა ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს დამრღვევი მხარის ან/და მისი უმაღლესი მენეჯმენტის წევრისუფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და დაკავშირებული პირის პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. (მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც). ამასთანავე მხარეები ადასტურებენ, რომ მხარის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს უმაღლესი მენეჯმენტისუფლებამოსილი პირის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და დაკავშირებული საწარმოს ქმედება, თუკი ეს პირი არ მოქმედებდა მხარის სახელითა და დავალებით;

8.8 აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ან/და აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა;

8.9 ნებისმიერი მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ან/და გამოიწვიოს წინამდებარე გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. ზემოთაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, ხელშემკვრელ მხარეს მოსთხოვოს ანგარიშგებებისა და ჩანაწერების მოწოდება.

9. გადასახადების თავიდან არიდების ხელშეწყობის აღკვეთის პოლიტიკა

9.1. "მხარეები" აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

9.1.1. თითოეული მათგანი ასევე, მათი შვილობილი, მშობელი კომპანიები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდებისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითებს უწევენ მუდმივ კონტროლს.

9.1.2. „მხარეები", ასევე მათთან დაკავშირებული პირები: მათი შვილობილი, მშობელი კომპანიების უმაღლესი მენეჯმენტის წევრები, უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლები, თანამშრომლები, სხვა პერსონალი არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობას (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით.

9.1.3. თითოეული მათგანი ასევე, მათთან დაკავშირებული პირები არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ ან/და ბრალდებული კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ან ხელშემწყობის კუთხით.

9.1.4. ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ამ, ისე მხარეებს შორის აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტა ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს დამრღვევი მხარის ან/და მისი უმაღლესი მენეჯმენტის წევრისუფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და დაკავშირებული პირის პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. (მათ შორის, შესაძლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც). ამასთანავე მხარეები ადასტურებენ, რომ მხარის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს უმაღლესი მენეჯმენტისუფლებამოსილი პირის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და დაკავშირებული საწარმოს ქმედება, თუკი ეს პირი არ მოქმედებდა მხარის სახელითა და დავალებით.

9.1.5. აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ან/და აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

9.1.6. ნებისმიერი მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ან/და გამოიწვიოს წინამდებარე გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. ზემოთაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, ხელშემკვრელ მხარეს მოსთხოვოს ანგარიშგებებისა და ჩანაწერების მოწოდება.

10. დასკვნითი დებულებელი

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ და მატერიალურ ნაწილს და მათში მოცემული პირობები აღსრულდება ხელშეკრულების პირობებთან ერთობლიობაში;

10.3. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. მხარეები ეცდებიან პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა უთანხმოება და დავა;

10.4. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს;

10.5. ყოველი საკითხი, რასაც არ მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულება, განიმარტება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.6. ხელშეკრულების რომელიმე კონკრეტული მუხლის/პუნქტის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების ბათილობას;

10.7. ხელშეკრულების შესრულებულია 2 (ორ) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ქართულენოვან ეგზემპლარად. ყოველ მხარეს გადაეცემა ამ ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი:
შპს „---------“

თბილისი, საქართველო
ს/კ: ----------
ტელ: ----------
საბანკო რეკვიზიტები:
სს “----------”
ბანკის კოდი: ----------
ა/ა: ----------

_____
/----------/

დამკვეთი:

სს „თიბისი ბანკი“
მარჯანიშვილის N7
თბილისი, საქართველო
ს/კ: 204 854 595
ტელ: 27 27 27 /ფაქსი: 77 27 74
ელ. ფოსტა: MeJaparidze@tbcbank.com.ge
საბანკო რეკვიზიტები:
საქართველოს ეროვნული ბანკი
ანგარიში N800161219

_____
/----------/

დანართი N -----

ყოველკვირეული ანგარიში #__

პერიოდი _____-დან _____-ის ჩათვლით

1. *კრიტიკული საკითხები:*
2. *მიმდინარე კვირის სამუშაოები:*
3. *მომავალი კვირის სამუშაოები:*
4. *დასრულებული სამუშაოები:*
5. *ფოტო მასალა:*
6. *დაკვეთის ცვლილების რაოდენობა - მიზეზები:*
7. *გეგმა გრაფიკი:*

კომპანიის დასახელება
ხელმომწერი პირი